დასკვნა:**დ05. 3724327001**
თარიღი:**22/11/2024**

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტი და დაადგინა:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტი (შემდგომში ,,პროექტი“), მასზედ თანდართული ინფორმაციული და სხვა სათანადო მასალების ნუსხა, სრულად აკმაყოფილებს საბიუჯეტო კოდექსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მოთხოვნებს.

2. პროექტის სტრუქტურა შესაბამისობაშია პროგრამულ ფორმატში ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიასთან. პროექტი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია საკრებულოში შემოსულია მოქმედი კანონმდებლობისა და საკრებულოს რეგლამენტის მოთხოვნების გათვალისწინებით.

3. პროექტის მიმართ კომისიის სხდომაზე დაფიქსირდა კონკრეტული შენიშვნები, კერძოდ კი: - პროექტის პრიორიტეტებით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების განხორციელების ლოკაციები დასაზუსტებელია. სერიოზულ გადამუშავებას ექვემდებარება პროგრამების/ ქვეპროგრამების აღწერის ნაწილის შესაბამისი პუნქტები.

- პროექტი უფრო მეტად უნდა იყოს გამჭვირვალე, მისაღები და ადვილად გასაგები რიგითი მოქალაქეებისათვის, განსაკუთრებით ბიუჯეტზე თანდართული განმარტებითი ბარათი.

- პროგრამული კოდი 0205-,,სამოქალაქო ბიუჯეტი“ წინააღმდეგობაშია ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის შედგენის წესთან“, რომელიც მოქმედებაში შედის 2025 წლის 01 იანვრიდან. აღნიშნულის შესაბამისად ბიუჯეტის პროექტში არსებული ჩანაწერი ,,სამოქალაქო ბიუჯეტის“ უნდა შეიცვალოს ჩანაწერით: ,,მონაწილეობითი ბიუჯეტი“ პროგრამული კოდით 0205.

კომისიის სხდომაზე მიღებულია გადაწყვეტილება 2025 წლის საბიუჯეტო განაცხადის მერისთვის დაბრუნების შესახებ.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი